



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

კომისიის შეხვედრა

თარიღი: 4 ივნისი, 2020 წელი

დრო: 11:00 -12:00

შეხვედრის ადგილი: ZOOM

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. სულხან სალაძე - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
2. დავით ცისკარიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი
3. ნინო ჩხობაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები
4. ნუკრი ყველაშვილი - ახალგაზრდული ალტერნატივა
5. თამარ გაბისონია - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება

4 ივნისს გაიმართა შემფასებელი კომისიის შეხვედრა. მსოფლიოში შექმნილი ახალი რეალობის გათვალისწინებით, საჭირო გახდა შემოსული განაცხადების ხელახლა გადახედვა.

შემფასებელმა კომისიამ იმსჯელა იმ საკითხზე, თუ როგორ მოხდება პანდემიის პირობებში პროექტებით გათვალისწინებული აქტივობების იმპლემენტაცია. კომისიის წევრები შეთანხმდნენ რომ საჭიროა საპროექტო განაცხადებში განხორციელდეს 3 ტიპის ცვლილება:

1. შინაარსობრივი
2. ტექნიკური
3. ფინანსური

აღნიშნული ცვლილებები მოითხოვს შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინებას:

1. შემფასებელი კომისია რეკომენდაციას უწევს მოხდეს კოვიდ-19-თან დაკავშირებული ღონისძიებების დამატება, თუ რა გავლენა მოახდინა აღნიშნულმა ახალმა რეალობამ სხვადასხვა მიმართულებებზე.
2. კომისიის წევრები მიიჩნევენ რომ გათვალისწინებული უნდა იქნას ყველა ის რეკომენდაცია და შეზღუდვა, რომელიც დაწესებულია ჩვენს ქვეყანაში გლობალური პანდემიის პირობებში, შესაბამისად თვლიან რომ მაქსიმალურად უნდა მოხდეს უშუალო, პირისპირ შეხვედრებისგან და ღონისძიებებისგან თავის არიდება და არსებული დისტანციური საშუალებების გამოყენება შეხვედრების, ტრენინგებისა და კონფერენციების ორგანიზების პროცესში (Zoom, Business Zoom და სხვა)
3. ყურადსაღებია რომ აღნიშნული პროექტებით გათვალისწინებული მიზნები და აქტივობები უნდა ემსახურებოდეს საქართველოს ეროვნული პლატფორმისა და მისი წევრების გაძლიერებას.
4. კიდევ ერთხელ ხაზი გაესვა დებულებით დადგენილ პრინციპს, რომ პროექტის მთავარი აპლიკანტი ერთჯერადად მიიღებს ტრანშის(რომელიც მოიცავს ყველა სახის ხარჯს პროექტის განსახორციელებლად) სახით 900 ევროს ოდენობით, ხოლო პარტნიორი ორგანიზაცია - 500-600 ევროს. პროექტის ბიუჯეტის ოდენობა განსაზღვრულია 5000-10 000 მდე ევროს ექვივალენტი ლარში შუალედით.
5. მნიშვნელოვანია რომ პროექტის მიზნობრივი ჯგუფი და ბენეფიციარები უნდა იყვნენ პლატფორმის წევრი ორგანიზაციების წარმომადგენლები, ასევე პროექტის პარტნიორი ორგანიზაციები აუცილებლად უნდა წარმოადგენდნენ აღმოსავლეთის პარტნიორობის საქართველოს ეროვნულ პლატფორმას.
6. მეტი თვალსაჩინოებისთვის მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს ნებისმიერი შინაარსობრივი აქტივობის მცირე აღწერა და მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრა (განისაზღვროს ტრენინგებისა და შეხვედრების თემატიკა, შინაარსი, თუ ვინ ჩაატარებს ტრენინგს).
7. გთხოვთ გაითვალისწინოთ რომ პროგრამული მხარდაჭერა არ ითვალისწინებს ტექნიკისა და სხვა სახის ტექნიკური ინვენტარის შეძენას.

ყველა ამ რეკომენდაციის საფუძველზე უნდა მოხდეს საპროექტო განაცადებში ცვლილებების შეტანა, როგორც შინაარსობრივ, ისე ფინანსურ ნაწილში. ცვლილებების განსახორციელებლად, მთავარ აპლიკანტებს მიეცემათ ერთ კვირიანი ვადა.

8. პროექტის განხორციელების ვადა განისაზღვროს 2020 წლის 1 ივლისიდან 1 ნოემბრამდე პერიოდი.

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე